4123338698143

www.info.court.ge

ცაგერის რაიონული სასამართლო

ცაგერი, ასათიანის ქ. 14

საქმე N 040210017002144491 **(2/87)** 05.04.2018 **წელი**

შპს ,,პრიზმა-ს"
(მისამართი: ქ.თბილისი, ალ.ყაზბეგის გამზ. N26)

ასლი: ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიას
(მისამართი:რუსთაველის ქუჩა N64)

N 040210017002144491 სამოქალაქო საქმეზე გეგზავნებათ, ცაგერის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 02 აპრილის გადაწყვეტილების ასლი.

ასევე,გეგზავნებათ ცაგერის რაიონული სასამართლოს 2018 წლის 03 აპრილის განჩინების ასლი-უსწორობის გასწორების შესახებ.

დანართი: გადაწყვეტილების ასლი -"05 " ფურცლად;
განჩინების ასლი-"02" ფურცლად;

მოსამართლის თანაშემწე: თამილა ახვლედიანი

გთხოვთ, გაითვალისწინოთ

პირველი და საპელაციო ინსტანციების სასამართლო გადაწყვეტილებები ***საჩივრდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული საჩივრის ფორმებით,*** რომლებიც შეგიძლიათ მიიღოთ თბილისის სააპელაციო სასამართლოში (ქ. თბილისი, გრ. რობაქიძის 7ა), საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსა (ქ. თბილისი, ბოჭორმის ქ. #12) და ნებისმიერ რაიონულ (საქალაქო) სასამართლოში, აგრეთვე მოიძიოთ საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს (**www.hcoj.gov.ge**), საქართველოს უზენაესი სასამართლოს (**www.supremecourt.ge**), თბილისის სააპელაციო სასამართლოსა

N040210017002144491

4100183935027

www.info.court.ge

გადაწყვეტილება
საქართველოს სახელით

2 აპრილი, 2017 წელი

ქ. ცაგერი

შესავალი ნაწილი
ცაგერის რაიონული სასამართლო
მოსამართლე როინ კახიძე
სხდომის მდივანი თამილა ახვლედიანი

მოსარჩელე - ცაგერის მუნიციპალიტეტის მერია (გამგეობა) ს/კ 242574460.
წარმომადგენელი - იამზე ბურჯალიანი,
მოპასუხე - შპს ,,პრიზმა'' ს/კ 200022723,
დავის საგანი: პირგასამტეხლოს დაკისრება.

აღწერილობითი ნაწილი:

სარჩელის მომზადების და განხილვის დროს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგეობას შეეცვალა სახელი ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიად.

1.სასარჩელო მოთხოვნა:

1.1. სარჩელში განმარტებულია, რომ 2015 წლის 25 ნოემბერს შპს. ,,პრიზმასთან" დადებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N237 ხელშეკრულება, ხელშეკრულებით შესყიდვის ობიექტს წარმომადგენს ქ. ცაგერში სპორტული კომპლექსის მშენებლობის სამუშაოების განხორციელება. რომლის ღირებულება შეადგენს 2 714 143 ლარს. ობიექტის ჩაბარების ვადაა 2016 წლის 25 დეკემბერი. ხელშეკრულების მოქმედების ვადაა 2017 წლის 25 აპრილი. შპს ,,პრიზმამ'' ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება ვერ შეასრულა, შესაბამისად დაირღვა ხელშეკრულების მე-3 მუხლის 11,4 პუნქტისა და სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მოთხოვნები, შპს პრიზმამ'' ვერ ჩააბარა ობიექტი 2016 წლის 25 დეკემბერს და ხელშეკრულების მე-10-ე მუხლის 10,2 პუნქტის საფუძველზე ერიცხება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების

ღირებულების 0,1%-ის ოდენობით, ხელშეკრულება შეწყდა 2017 წლის 12 ოქტომბერს, რა დროისთვის ჯარიმის ოდენობა შეადგენს 675 820 ლარს.

2017 წლის 15 მარტს გადაწყვეტილებით სასამართლომ, შპს ,,პრიზმას'' სარჩელის საფუძველზე, მხარეებს დაავალა ცვლილების შეტანა ხელშეკრულების მე-10 მუხლში, პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების თაობაზე, მაგრამ ცვლილებას შპს. ,,პრიზმამ'' ხელი არ მოაწერა, სასამართლო გადაწყვეტილება დარჩა აღსრულების გარეშე, შესაბამისად პირგასამტეხლო შპს. ,,პრიზმას" უნდა დაეკისროს 0,1% ოდენობით (ხელშეკრულებიდან გამომდინარე).

1.2. მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლები;
სამოქალაქო კოდექსის 417-420-ე მუხლები
2. მოპასუხეს არაერთხელ გაეგზავნა სარჩელი და თანდართული მასალები, საბოლოოდ საჯარო გამოქვეყნების გზით ჩაბარდა სარჩელი.

3.1.უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

3.1.1 2015 წლის 25 ნოემბერს მხარეებს შორის დადებული იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N237 ხელშეკრულება, შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ქ. ცაგერში სპორტული კომპლექსის მშენებლობა. სამუშაოების შესყიდვის ღირებულება შეადგენს 2, 714 143 ლარს. ხელშეკრულების 10,2 პუნქტით პირგასამტეხლოს ოდენობა განისაზღვრა 0,1%-ის ოდენობით.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
2015 წლის 25 ნოემბერის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N237 ხელშეკრულება,

3.1.2 ცაგერის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა 2015 წლის 25 ნოემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N237 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების 10,2 მუხლში პირგასამტეხლოს ოდენობა ნაცვლად 0,1%-სა განისაზღვრა 0,01%-ი.

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
ცაგერის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 1 მარტი გადაწყვეტილება
სარჩელი.

3.1.3.შეთანხმების პროექტის აქტს - N237 ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ შპს. ,,პრიზმამ" ხელი არ მოაწერა, რადგან თვლიდა, რომ შეცვლილი პირგასამტეხლოს ოდენობა უნდა გავცელებულიყო ხელშეკრულების მთელ პერიოდზე და არა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ პერიოდზე,

სასამართლო ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:
ხელშეკრულების პროექტი, 2017 წლის 1 სექტემბრის შპს. ,,პრიზმას" პასუხი, მოსარჩელის ახსნა განმარტება,

ს ა მ ო ტ ი ვ ა ც ი ო ნ ა წ ი ლ ი

4.შემაჯამებელი სასამართლო დასკვნა

4.1.დადგენილ ფაქტობრივ გარემოებათა სამართლებრივი შეფასების საფუძველზე სასამართლოს მიაჩნია, რომ სარჩელი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

5.კანონები, რომლითაც იხელმძღვანელა სასამართლომ

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
- საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
-ცაგერის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 1 მარტის გადაწყვეტილება.

6.სამართლებრივი შეფასება:

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 417-ე მუხლის თანამხმად პირგასამტეხლო მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხაა, რომელიც მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 420-ე მუხლის თანამხმად სასამართლოს შეუძლია საქმის გარემოებათა გათვალისწინებით, შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების მხარეები თავისუფალნი არიან პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრაში, სასამართლო უფლებამოსილია შეამციროს შეუსაბამოდ მაღალი პირგასამტეხლო.

ზემოთაღნიშნული ნორმათა განმარტების საფუძველზე ცაგერის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ პირგასამტეხლოს ოდენობა შეუსაბამოდ მაღალია, რის გამოც სასამართლომ პირგასამტეხლოს ოდენობა შეამცირა 0,1% დან 0,01 პროცენტამდე.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-106 მუხლის ,,ბ" ქვეპუნქტით თანახმად ერთ სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამტკიცებულ ფაქტებს თუ სხვა საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ მტკიცებას აღარ საჭიროებს.

2017 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა შპს ,,პრიზმას'' სარჩელი მოპასუხე ცაგერის მუნიცილალიტეტის გამგეობის მიმართ, სასამართლომ ცვლილება შეიტანა 2015 წლის 25 ნოემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N237 ხელშეკრულებაში და ხელშეკრულების 10,2 მუხლში პირგასამტეხლოს ოდენობა ნაცვლად 0,1%-სა განისაზღვრა 0,01%-ი.

სარჩელით დგინდება რომ მხარეები არიან ერთი და იგივე და მოსარჩელის მოთხოვნა პირგასამტეხლოს დაკისრებას შესახებ ეფუძნება 2015 წლის 25 ნოემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N237 ხელშეკრულებაში 10,2 მუხლში მუთითებულ პირგასამტეხლოს ოდენობას 0,1%, რაც უკვე სასამართლოს მიერ შეცვლილია და უდაოდ არის ცნობილი, შესაბამისად მოსარჩელის მხრიდან სარჩელის დაკმაყოფილების საფუძვლად სამოქალაქო კოდექსის 417-420-ე მუხლებზე მითითება ამ შემთხვევაში უსაფუძვლოა.
მოსარჩელის მხრიდან მსჯელობას იმასთან დაკავშირებით რომ, 2017 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით 2015 წლის 25 ნოემბერს გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N237 ხელშეკრულებაში 10,2 მუხლში პირგასამტეხლოს ოდენობაში შესული ცვლილება არ განხორციელდა შპს. პრიზმას'' ბრალით, რადგან მათი ხელი არ მოაწერეს შეცვლილ ხელშეკრულების პროექტს და ამის გამო მოითხოვს ხელშეკრულებით განსაზღვრულ პირგასამტეხლოს 0,1 % და არა სასამართლოს მიერ დადგენილ 0,01%. სასამართლო ვერ გაიზიარებს შემდეგ გარემოებათა გამო; 2017 წლის 1 მარტის გადაწყვეტილებით სასამართლომ შეიტანა ცვლილება ხელშეკრულებაში და შეცვალა პირგასამტეხლოს ოდენობა 0,1 %-დან 0.01%-მდე, სასამართლოს არ დაუვალდებია მხარეები შეედგინათ ახალი ხელშეკრულება აღნიშნულ საკითხზე. ასევე შპს. ,,პრიზმას" უარი არ უთქვამთ ხელშეკრულების ცვლილებაზე, მას სურდა შეცვლილი პირგასამტეხლო 0,01% გავცელებულიყო ხელშეკრულების მთელ პერიოდზე და არა სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების შემდგომ პერიოდზე, შესაბამისად სასამართლოს აზრით, მიუხედავად იმისა რომ შპს. ,,პრიზმას" ვალდებულება არ გააჩნდა ხელშეკრულებაში აესახა ცვლილება ის არ იყო წინააღმდეგი ცვლილები აესახა ხელშეკრულებაში, (ის არ დაეთანხმა საჯარიმო სანქციების ოდენობას) შესაბამისად მოსარჩელის მსჯელობა საფუძველს მოკლებულია.
ზემოთაღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გათვალისწინებით, მოსარჩელის მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შპს. ,,პრიზმას'' ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის დასარგებლოდ უნდა დაეკისროს 2017 წლის 1 მარტს ცაგერის რაიონული სასამართლოს მიერ დადგენილი 0.01% პირგასამტეხლოს ოდენობა 67 582 ლარი.
7.საპროცესო ხარჯები:

7.1.საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, სასამართლოს მიერ საქმის განხილვასთან დაკავშირებული გაღებული ხარჯები და სახელმწიფო ბაჟი, რომელთა გადახდისაგან გათავისუფლებული იყო

მოსარჩელე, გადახდება მოპასუხეს ბიუჯეტის შემოსავლების სასარგებლოდ, მოთხოვნათა იმ ნაწილის პროპორციულად, რომელიც დაკმაყოფილდა, შესაბამისად შპს. ,,პრიზმას'' უნდა დაეკისროს, დაკისრებული თანხის 3% სახელმწიფო ბაჟი.

ს ა რ ე ზ ო ლ უ ც ი ო ნ ა წ ი ლ ი:

სასამართლომ იხელმძღვანელა რა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 8-ე, 53-ე, 243-244-ე, 248-249-ე, 257-ე მუხლებით

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სარჩელი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
2. შპს. ,,პრიზმას" ცაგერის მუნიციპალიტეტის მერიის სასარგებლოდ დაეკისროს 67 582 ლარი;
3. შპს ,,პრიზმას'' დაეკისროს სახელმწიფო ბაჟი 2027,46 (ორიათას ოცდაშვიდი ლარის და 46 თეთრი) ლარის ოდენობით.

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს 14 დღის ვადაში მხარისათვის დასაბუთებული გადაწყვეტილების გადაცემის მომენტიდან აპელაციის წესით, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში (ქ.ქუთაისი, ნიუ-პორტის ქ.32), ცაგერის რაიონული სასამართლოს მეშვეობით ქ. ცაგერი ასათიანის ქ. 14);

5.გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე, თუ ის ესწრება გადაწყვეტილების გამოცხადებას ან მისთვის ცნობილია გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არა უადრეს 20 და არა უგვიანეს 30 დღისა, გამოცხადდეს ცაგერის რაიონულ სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია;

მოსამართლე ხემოწერილია რონინ კახიძე
ასლი დედანთან სწორია
მოსამართლის თანაშემწე თამბილა ახვლედიანი